

# სტუდენტების მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში

კვლევითი პროექტის ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
2010

ნათია ანდლულაძე - კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი

სტუდენტები:

- |                      |                    |
|----------------------|--------------------|
| ✓ ნინო კოვზირიძე     | ✓ ნათია მალიძე     |
| ✓ სესილი სიჭინავა    | ✓ სოფიო მახარაძე   |
| ✓ ლილია ბაიაძე       | ✓ ნინელი ნეფარიძე  |
| ✓ ნინო გაზაშვილი     | ✓ თამარ ორჯონიკიძე |
| ✓ მაკა გათენაძე      | ✓ მიხეილ ტეფნაძე   |
| ✓ დავით გელუტაშვილი  | ✓ ნათია შენგელია   |
| ✓ გიორგი თვალაშვილი  | ✓ მარიამ ხუციშვილი |
| ✓ თამთა კობახიძე     | ✓ ქრისტინა ჭელიძე  |
| ✓ თეა ლილუაშვილი     | ✓ მაია ჩივაძე      |
| ✓ დავით ლიპარტელიანი | ✓ ნოდარ ჯანაძე     |
| ✓ ნინო ლობჯანიძე     |                    |



European Commission  
**TEMPUS**

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.  
წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების  
მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი  
წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

ადნიშნული კვლევა ჩატარდა 2010 წლის მაის - სექტემბერში ტემპუსის ეროვნული ოფისის ფინანსური მხარდაჭერით. სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში ჩართულობის ხარისხის შესაფასებლად, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 17 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 500-მდე სტუდენტი, 17 სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ან წარმომადგენელი და 17 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და შესწავლილი იქნა სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის არსებობა და მათი შინაარსი. ანგარიშში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა უსდ მართვაში სტუდენტების მონაწილეობა; ადმინისტრაციასა და თვითმმართველობას შორის თანამშრომლობის ხასიათი; გადაწყვეტილებების მიღებისას სტუდენტების აზრის გათვალისწინება; სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი საკუთარ უფლებამოსილებებზე; თვითმმართველობების საქმიანობა; და სტუდენტების უსდ მართვაში ჩართვასთან დაკავშირებული ბარიერები.

## ძირითადი მიგნებები:

- სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები როგორც თავიანთი, ასევე თვითმმართველობის უფლება-მოვალეობის შესახებ უსდ მართვაში მონაწილეობასთან მიმართებაში; სტუდენტების 70% აცხადებს, რომ არ იცის, რა უფლებები და მოვალეობები აქვს სტუდენტურ თვითმმართველობას.
- თვითმმართველობის საქმიანობა, ძირითადად, მოიცავს სპორტული, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას; ამ მიმართულებით მათი საქმიანობა მრავალფეროვანია. გამოკითხული სტუდენტები ყველაზე ხშირად ასახლებენ თვითმმართველობების მიერ სილამაზის კონკურსებისა და სპორტული შეჯიბრებების ჩატარებას. გვხვდება შემთხვევები, როცა თვითმმართველობა ფინანსურ დახმარებას უწევს ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტებს, ეხმარება სტუდენტებს სწავლების გადასახადის გადავადებაში. თვითმმართველობა ნაკლებად ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სტუდენტების მოთხოვნა მსგავსი პროექტების განხორციელებაზე ნაკლებია;
- სტუდენტების 59% აცხადებს, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით;
- სტუდენტები თვითმმართველობის მუშაობას ათბალიან შკალაზე 6 ქულით აფასებენ;
- ასევე, აღსანიშნავია სტუდენტების პასიურობა თვითმმართველობასთან თანამშრომლობისას. გამოკითხული სტუდენტების 73% აღნიშნავს, რომ არასდროს მიუმართავს თვითმმართველობისთვის რაიმე ინიციატივით.
- ფოკუს ჯგუფზე სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტების მოთხოვნები და საჭიროებები ნაკლებად ახდენს გავლენას თვითმმართველობის საქმიანობაზე და მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არის მათზე მოქმედი მთავარი ძალა; გამოკითხული სტუდენტების მეოთხედზე მეტი ფიქრობს, რომ ყველაზე დიდი გავლენა თვითმმართველობის საქმიანობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს;
- რიგ შემთხვევებში, სტუდენტის როლი წარმომადგენლობით საბჭოში ფორმალურია და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ან ახდენს. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ნაწილი თვლის, რომ სტუდენტს არ აქვს საკმარისი კომპეტენცია განსახილველ საკითხში;
- უსდ თვითმმართველობების ბიუჯეტები, ხშირ შემთხვევაში, არ შეადგენს უსდ ბიუჯეტის 1 პროცენტს, რისი არგუმენტირებაც, როგორც წესი, უსდ ბიუჯეტის დეფიციტით აიხსნება.

ჩვენი კვლევა, მასში გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარე, არ იძლევა ინდივიდუალური უსდ-ში არსებული სიტუაციის შესახებ მსჯელობის საშუალებას. მოცემული შედეგები, სავარაუდოდ, განსხვავებულად ვრცელდება სხვადასხვა უნივერსიტეტზე.

## კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები

საქართველოს განათლების სისტემის უმაღლეს საფეხურზე განხორციელებულმა რეფორმამ ცვლილებები შეიტანა უსდ-ს მართვის სისტემაში. უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით სტუდენტურ თვითმართველობებს უსდ-ს მართვაში მონაწილეობის გარკვეული უფლებები მიენიჭა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 45-ე მუხლის თანახმად, სტუდენტთა თვითმართველობას უფლება ენიჭება თავისი დებულების შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა უსდ-ს მართვაში, ხელი შეუწყოს სტუდენტთა უფლებების დაცვას, აირჩიოს წარმომადგენელი ფაკულტეტის საბჭოში, შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის ან უსდ-ს მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, წარუდგინოს ფაკულტეტის, წარმომადგენლობით ან აკადემიურ საბჭოს და განხორციელოს დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოსილებები.

ჩვენი კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად არიან სტუდენტები ჩართული უსდ-ს მართვაში და პასუხები გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის უსდ-ს მართვაში მონაწილეობა?
- როგორია სტუდენტების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- რამდენად უწყობს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს სტუდენტების ჩართვას უსდ-ს მართვაში?
- რა ხასიათს ატარებს თვითმართველობის საქმიანობა?
- რამდენად ხდება სტუდენტების აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას?
- რამდენად არიან სტუდენტები ინფორმირებულები უსდ-ს მართვაში საკუთარი უფლებამოსილების შესახებ?
- რა ბარიერები არსებობს სტუდენტების უსდ-ს მართვაში ჩართვასთან დაკავშირებით?

## კვლევის მეთოდოლოგია

### მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისას მივმართეთ ანკეტირების, ინტერვიუებისა და დოკუმენტური მასალის ანალიზის ხერხს.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად შევისწავლეთ სტუდენტების (რომლებიც არ არიან თვითმმართველობის წევრები) თვითმმართველობის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი. სტუდენტთა გამოკითხვის დროს მოვიცავით შემდეგი ძირითადი კითხვები:

- რა იციან სტუდენტებმა თვითმმართველობის შესახებ;
- რა იციან მათი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
- რა აზრის არიან სტუდენტები თვითმმართველობის საქმიანობის ხარისხზე;
- რა იციან თავიანთი უფლებების შესახებ;
- რა სახით არიან ჩართულები თვითმმართველობის საქმიანობაში.

საკვლევი საკითხების შესასწავლად, საჭირო იყო კითხვარის შემუშავება, რომლისთვისაც დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

1. ფოკუს-ჯგუფმა საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა კითხვარის პირველადი სახე. ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა 10 სტუდენტისაგან.
2. კითხვარის პილოტირება მოხდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოიკითხა სხვადასხვა კურსისა და ფაკულტეტის 37 სტუდენტი. პილოტირების შედეგად ჩამოყალიბდა კითხვარის საბოლოო ვერსია.

სტუდენტების გამოკითხვაში მონაწილეობის მაქსიმალურად მაღალი მაჩვენებლის მიღების მიზნით, შევეცადეთ, კითხვარი მოკლე ყოფილიყო. ამიტომ იგი შედგებოდა 13 კითხვისგან, აქედან დახურული იყო 10 კითხვა და ღია - 3. გამოკითხულთა შორის იყო 142 პირველკურსელი, 111 - მეორე, 120 - მესამე, 100 - მეოთხე, 10- მეხუთე (სამედიცინო უნივერსიტეტი), 1-მეექვსე (სამედიცინო უნივერსიტეტი). შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 400 სტუდენტით 95%-იანი სანდოობის დონეზე და 5%-იანი ცდომილების ზღვარზე. სტუდენტების რაოდენობა თითოეული უნივერსიტეტიდან შეირჩა უნივერსიტეტის ზომის პროპორციულად.

დოკუმენტური მასალის კვლევის ნაწილში თავდაპირველად შევადგინეთ საჭირო დოკუმენტების ნუსხა. შემდეგ შევავროვეთ აღნიშნული დოკუმენტები ჩვენი სამიზნე სახელმწიფო უსდ-დან და მოვახდინეთ მონაცემების კლასიფიკაცია. ბოლო ეტაპზე კი გავაანალიზეთ მიღებული მონაცემები. კვლევის ამ ნაწილში, ასევე, შევისწავლეთ უსდ-ების ვებ გვერდებზე თვითმმართველობაზე არსებული ინფორმაცია.

თვითმმართველობის და წარმომადგენლობითი საბჭოს წარმომადგენლებთან ინტევიუების შედეგად მივიღეთ ინფორმაცია თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ უშუალოდ თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან

(გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თვითმმართველობების ხელმძღვანელებისგან) და თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის თანამშრომლობის ხარიათზე.

კვლევის ეს ნაწილი მოიცავდა საქართველოს 17 უნივერსიტეტში თვითმმართველობის პრეზიდენტების და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელების (კანცლერების) ინტერვიუებას. თითოეული უნივერსიტეტში ჩაიწერა ორი რესპონდენტი, ერთი პრეზიდენტი ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი და ერთი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

### **კვლევაში მონაწილე უსდ:**

კვლევის ფარგლებში მოვიცავით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მზავრობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების მიზნით, შერჩევითი ერთობლიობიდან ამოვიღეთ სამი მცირე ზომის (ზუგდიდის, ახალქალაქისა და წნორის) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

#### **თბილისი**

1. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
7. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
8. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი;
10. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

#### **რეგიონებიდან:**

11. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
12. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
13. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
14. გორის უნივერსიტეტი;
15. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
16. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
17. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

## კვლევის შედეგები

### თვითმმართველობის აქტივობები

ჩვენ ჩავთვალეთ, რომ თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები, ამ აქტივობებზე სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი და განსახორციელებელი ღონისძიებების ირგვლივ გადაწყვეტილების მიღების უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა, იქნებოდა კარგი წყარო ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღებისთვის. გამოკითხვის, ინტერვიუებისა და დოკუმენტების ანალიზიდან მიღებული მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ უსდ თვითმმართველობის აქტივობები კონცენტრირებულია ცალკეული ღონისძიებების ორგანიზების ირგვლივ. სწავლების ხარისხის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებების წილი თვითმმართველობის საქმიანობაში შედარებით ნაკლებია.

უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობის პრეზიდენტების განცხადებით, მათი მუშაობის ძირითადი მისიაა უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება, სტუდენტების შუამდგომლობა ადმინისტრაციასთან და მათი სამართლებრივი უფლებების დაცვა. “ჩვენ ვართ სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის მარეგულირებელი ორგანო, მაგრამ, ამავედროს, ვალდებულება გვაქვს ადებული სტუდენტებთან, რომ მათი ცხოვრება უფრო გავახალისოთ და მათ ინტელექტუალურ მხარეშიც შევუწყოთ ხელი” – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი თვითმმართველობის პრეზიდენტი. დანარჩენი თვითმმართველობების წარმომადგენლებიც მსგავსად წარმოადგენენ თავიანთ როლს. რიგ შემთხვევებში, ასევე, სახელდება კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია (კონსერვატორია) და სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა სამედიცინო ღონისძიებაში (სამედიცინო უნივერსიტეტი).

ბევრ უნივერსიტეტში თვითმმართველობაში შექმნილია დეპარტამენტები: სპორტის, კულტურის, განათლების, სტუდენტთა უფლებების დაცვის, ტურიზმის, საერთაშორისო ურთიერთობების. ეს დეპარტამენტები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ წესდებით მინიჭებული უფლებების შესაბამისად.

თვითმმართველობების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები დავყავით შემდეგ კატეგორიებად:

*კულტურული* - შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, გამოფენები;

*სასწავლო-შემეცნებითი* - კონფერენციები, ტრენინგ-სემინარები, ინტელექტუალური თამაშები;

*გასართობი* - სტუდენტური დღეები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, კლუბური საღამოები;


*სპორტული* - ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში;

*საქველმოქმედო* - საქველმოქმედო კონცერტები, გამოფენა-გაყიდვები, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები;

*ექსკურსია/ექსპედიციები* - ტურისტული ტურები, ლაშქრობები, მიზნობრივი ექსპედიციები;  
*საინფორმაციო* - სხვადასხვა სახის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და პრეზენტაციები.


როგორც დოკუმენტების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების თვითმართველობის მიერ განხორციელებულ პროექტებში სასწავლო-შემეცნებითი პროექტები სჭარბობს, შემდეგ კულტურული და სპორტულია, ხოლო ყველაზე მცირე საქველმოქმედო პროექტებია.

სურ. #1: თვითმმართველობების აქტივობები დანიშნულების მიხედვით



განხორციელებულ პროექტებს თუ დავაჯგუფებთ თბილისსა და რეგიონებში არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიხედვით, მათ შორის განსხვავებულ სურათს მივიღებთ. თბილისში არსებული უსდ-ების თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ პროექტებში სასწავლო-შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები სჭარბობს, რეგიონებში არსებული უსდ-ების თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ პროექტებში კი სპორტული.

სურ. #2: თვითმმართველობის აქტივობები თბილისის და რეგიონების უსდ-ებში:





აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისისა და რეგიონების უსდ-ები ერთმანეთთან გარკვეული მემორანდუმების მიხედვით თანამშრომლობენ. ძირითადად კი სასწავლო-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები გამოირჩევა სიხშირით. თვითმმართველობების მიერ განხორციელებული პროექტები, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება უსდ-ს პროფილს. სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებების რაოდენობების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გამოვყოფთ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ორი დიდი უნივერსიტეტის (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების) თვითმმართველობები ვიზისა და მგზავრობის ხარჯებს უნაზღაურებენ იმ სტუდენტებს, რომლებმაც მოიპოვეს საზღვარგარეთ სწავლის უფლება და დაფინანსება და განცხადებით იმართავენ თვითმმართველობებს.

კვლევის ფარგლებში ბიუჯეტის დასამტკიცებლად პროექტების და ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვების ასლები მოვითხოვეთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიიდან, სადაც განგვიცხადეს, რომ აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობამ უარი თქვა ჰქონოდა ბიუჯეტი და გადაწყვიტა მათთვის განკუთვნილი ფინანსები დახარჯულიყო სტუდენტთა სტიპენდიებზე და პროფესორ-მასწავლებლების ხელფასებზე. თვითმმართველობა ღონისძიებების ჩასატარებლად იძიებს სპონსორებს.

არის ერთეული უნივერსიტეტები, რომელთა თვითმმართველობის პრეზიდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის პრიორიტეტი სწავლასთან დაკავშირებული ღონისძიებებია. “ჩემთვის ყოველთვის იყო და იქნება პრიორიტეტი სამეცნიერო კონფერენციები, სამეცნიერო სექტორი იმიტომ, რომ ჩვენ ვართ სტუდენტები და უნივერსიტეტის ძირითადი მისია არის სწავლა” (თეუსუ). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პრიორიტეტად სახელდება სოციალური პროგრამები, უაღრესად გაჭირვებული სტუდენტების დახმარება. სამედიცინო უნივერსიტეტში პრიორიტეტულია სამედიცინო ღონისძიებები. ზოგიერთ უნივერსიტეტში, პრიორიტეტად ის ღონისძიება ითვლება, რომელიც უფრო მეტი სტუდენტის ჩართვას ითვალისწინებს. “პროექტების განხორციელებისას უპირატესობა და პრიორიტეტი ენიჭება იმ პროექტს, რომელშიც უფრო მეტი სტუდენტია ჩართული. თუ, მაგალითად, შემოდის პროექტი, რომელიც 14 სტუდენტის მონაწილეობას გულისხმობს და პროექტი, რომელშიც 3 სტუდენტი იქნება დაკავებული, თვითმმართველობა უპირატესობას პირველ პროექტს ანიჭებს.” (სამხატვრო აკადემია)

ასევე, არის უნივერსიტეტები, სადაც თვითმმართველობამ ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა და ამ გამოკითხვების საფუძველზე დაადგინა პრიორიტეტული საკითხები. თელავის უნივერსიტეტში სტუდენტებმა უპირატესობა მიანიჭეს ექსკურსიებს და შემეცნებით ღონისძიებებს. ახალციხის უნივერსიტეტში კეთდება 5-თვიანი გეგმები და განიხილება გენერალურ თათბირებზე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებისგან არ მოდის წინადადებები, მაშინ თვითმმართველობა მათ თვითონ სთავაზობს ღონისძიებებს. რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ თვითმმართველობის ბიუჯეტს და ამ შემთხვევაშიც შეიძლება პრიორიტეტი იმ აქტიობას მიენიჭოს, რომლისთვისაც საკმარისი თანხა აქვთ.

როგორც ინტერვიუების ანალიზიდან გამოიკვეთა, ძირითადად, სტუდენტებს ინიციატივები შეაქვთ თვითმმართველობაში კულტურულ ღონისძიებებზე, როგორცაა პოეზიის საღამო, რომელიმე ცნობილ სახესთან შეხვედრა. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო შეხვედრები გურამ დოჩანაშვილთან, ოტია იოსელიანთან, ნიკო გომელაურთან. ასევე, ხშირად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში. რაც შეეხება შემეცნებით ღონისძიებებს, უმეტესწილად სახელდება ინტელექტუალური შეჯიბრი: “რა? სად? როდის?” და სხვადასხვა სახის კონფერენციები. თუმცა, უმეტესობა თვითმმართველობებისა ამბობს, რომ სტუდენტების უმრავლესობა ინტერესდება გასართობი და სპორტული ღონისძიებებით. აგრეთვე ტურისტული კუთხით ეწყობა ერთ დღიანი, ორ დღიანი ექსკურსიები. საქართველოს სუბტროპიკულ უნივერსიტეტს აქვს საზაფხულო ბანაკი ციხისძირში, სადაც ძირითადად აქტიური სტუდენტები ისვენებენ.

სამედიცინო უნივერსიტეტმა “ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების ახალგაზრდული ფონდის” დაფინანსებით, განახორციელა უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები ხობში, მარტვილსა და ჩოხატაურში. აგრეთვე, თსუ-ს თვითმმართველობამ განახორციელა პროექტი “ერის ხმა”, რომელშიც საქართველოს მასშტაბით ყველა უნივერსიტეტი იღებდა მონაწილეობას. აგრეთვე, არის დაუგეგმავი ღონისძიებები, როგორცაა, მაგალითად, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩატარებული აქცია მოწვევის წინააღმდეგ სახელწოდებით, “მოდამია ჯანმრთელობა”. სხვადასხვა უნივერსიტეტში ხორციელდება საქველმოქმედო ღონისძიებებიც. სამხატვრო აკადემიას, კონსერვატორიას, თეატრალურ უნივერსიტეტს და სხვა სპეციფიკურ უნივერსიტეტებს ღონისძიებები და პროექტებიც სპეციფიკური აქვთ. მაგალითად, სამხატვრო აკადემია ძირითად აქცენტს გამოფენების მოწყობაზე აკეთებს, კონსერვატორია სხვადასხვა სახის კონცერტებს აწყობს, თეატრალურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობა გრიმის ცხება მარჯანიშვილის თეატრში, რომლითაც ხდება “რეჟისორების და მსახიობების ნათლობა”, რომლებმაც ფეხი უნდა შედგან სცენაზე. ასევე, აქვთ კინოფესტივალი, დრამის ეტიუდების ფესტივალი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ განსაზღვრავს თვითმმართველობა განსახორციელებელი პროექტებისა და ღონისძიებების პრიორიტეტებს, როგორც უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობის პრეზიდენტების უმრავლესობა ამბობს, ისინი მთლიანად ითვალისწინებენ სტუდენტთა მოთხოვნებს. ხოლო პრიორიტეტულ ღონისძიებებად კულტურულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებს ასახელებენ, ვინაიდან სტუდენტებისგან ყველაზე მეტად სწორედ ამაზე მოდის დაკვეთა. “ჩვენი თაობის სეგმენტი უმეტესად ორიენტირებულია გართობაზე, შესაბამისადაც ამ კუთხით უფრო მეტი შემთხვევა გვაქვს.” (აგრარული უნივერსიტეტის თმმ-სპრეზიდენტი.)

თმმ-სწარმომადგენლებმა ინტერვიუებში ძირითადად ორი თემა გამოყვეს, რომელთა ირგვლივაც სთხოვეს სტუდენტები მათ დახმარებას, ესენია: სწავლის საფასურის დაფინანსებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები. ფინანსებთან დაკავშირებით თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ ხშირად მიმართავენ სტუდენტები, რომელთაც ამ მხრივ პრობლემები აქვთ. ამ შემთხვევაში თმმ ხშირად ამგვარ სტუდენტს ეხმარება ადმინისტრაციასთან შუამდგომლობით და სასწავლო თანხის გადახდის ვადის


გადავადებით. ასევე, ამგვარი სტუდენტების გარდა, მათ ხშირად მიმართავენ სოციალურად დაუცველი სტუდენტები და ამ შემთხვევაში ისინი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ეხმარებიან ამგვარ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში. “ვინც სოციალურად დაუცველი სტუდენტები იყვნენ, გავაკეთეთ ასეთი პროექტი, რომ დაფინანსებულიყვნენ, თუ არ ვცდები დავაფინანსეთ 10 სტუდენტი. ამის გარდა, ამგვარ სტუდენტებს, როგორც თმმ-ს წევრების უმრავლესობამ აღნიშნა, სხვადასხვა სახის სტიპენდიებსაც გადასცემენ, ასევე - გადარიცხვაზე იყო ერთი ასეთი შემთხვევა, რომ თვითონ სტუდენტი იყო დაავადებული, სისხლის გათეთრება ჰქონდა და თვითონ სტუდენტებმა, აკადემიის ლექტორებმა შევკრიბეთ თანხა და გავუშვით თბილისში სამკურნალოდ.”

სწავლის პროცესთან დაკავშირებით თმმ-ს წევრებმა შემდეგი საკითხები დაასახელეს, რომლებზეც სტუდენტები დახმარებას ითხოვენ: თვითმმართველობისთვის თხოვნით მიუმართავთ სტუდენტებს გამოცდების გადავადების თაობაზე, მიზეზად კი ავადმყოფობას და სამსახურს ასახელებდნენ. თვითმმართველობის წევრებიც ცდილობენ ამ საკითხში სტუდენტებს დახმარება გაუწიონ. ასევე, ისინი ლექტორებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებასაც მათ სთხოვენ და თვითმმართველობაც მაქსიმალურად ცდილობს ამ მხრივ თითოეულს ტუდენტს მხარში ამოუდგეს, თუ რა თქმა უნდა ეს ყოველივე ფაქტებზეა დაფუძნებული. თუმცა, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ლექტორებთან დაკავშირებით პრობლემებში ჩართვა “არაოფიციალურად” არ სურთ და ამ საკითხს წარმომადგენლობით და ფაკულტეტების საბჭოებში აყენებენ: “ჩვენ ამ პრობლემებს უფრო მაღალ დონეებზე ვაყენებთ და გვინდა, რომ ზემდგომ ორგანოებში უფრო დახვეწილი ფორმა მიიღოს და დაგვიყენებია და ძალიან ბევრ ფაკულტეტზე გამოგვისწორებია კიდეც.”

თმმ-ს წევრებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტების მოთხოვნების შესასწავლევად, ისინი ატარებენ გამოკითხვებს სტუდენტებში. რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ ამ გამოკითხვებში პირველ ადგილზე სასწავლო-სამეცნიერო პროექტები იყო. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობის თქმით, პირველ ადგილზე ექსკურსიები დასახელდა: “როგორც ყველას ტუდენტს, გასართობი ღონისძიებები ძალიან მაგრა დააინტერესებთ, ანუ ეს ფართი, თუ კონცერტები, თუკლუბები და იყო სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიებზეა ძალიან დიდი მოთხოვნა.”

სტუდენტების ანკეტირებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, სტუდენტებს თვითმმართველობების მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან ყველაზე ხშირად გასართობი და სპორტული ღონისძიებები დაამახსოვრდათ.

**დაგვისახელეთ თვითმმართველობის მიერ განხორციელებული რამდენიმე, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი ღონისძიება**



**თვითმმართველობისა და სტუდენტების ურთიერთობა**


შეკითხვაზე – “რამდენად ხშირად რთავთ ჩვეულებრივ სტუდენტებს თმმ-ს ღონისძიებებში?” თმმ-ს წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ხშირად რთავენ პროექტებსა და ღონისძიებებშიმსტუდენტებს, რომლებიც არ არიან თმმ-ს წევრები. “უმეტესად, სულ სტუდენტები არიან ჩართულები ჩვენს ღონისძიებებში, არ გვინდა, რომ იფიქრონ, თვითმმართველობაში რადგან ვართ, ყველაფერს ჩვენთვის ვაკეთებთ, გვინდა, რომ ჩვენ ვიყოთ გარეთ და ღონისძიებებში ისინი იყვნენ ჩართულები.” ასევე ზოგიერთმა თმმ-სწევრმა აღნიშნა, რომ მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში თმმ-ის წევრზე 5-6-ჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობს, რაც თავისთავად მიუთითებს თმმ-ს პროექტებში ჩვეულებრივი სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას.

კითხვაზე: „იღებთ თუ არა მონაწილეობას თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში?“, 16%-მა უპასუხა, რომ ხშირად იღებდა მონაწილეობას, 41%-მა - იშვიათად, 43%-მა - არასოდეს.

კითხვაზე: – “თუ რამდენად მიდიან სტუდენტები თმმ-ში საკუთარი ინიციატივებით და პროექტებით და რამდენად ხდება მათი ინიციატივების განხორციელება?” რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ასეთი შემთავაზებები საკმაოდ ბევრია. თმმ-ს წევრების ინტერვიუებიდან გამოიკვეთა ის სფეროები, რომელთა შესახებაც უფრო მეტი პროექტის განხორციელების ინიციატივით შედიან თმმ-ში სტუდენტები. ესენია: კულტურული, სპორტული, შემეცნებითი, საქველმოქმედო ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები და ექსკურსიები.

კულტურული ღონისძიებებიდან თმმ-ს წევრების თქმით, სტუდენტები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ პერსონალურ გამოფენებს და პოეზიის საღამოებს, სადაც საკუთარ ლექსებს წარადგენენ. სპორტული ღონისძიებებიდან თითქმის ყველა სახეობაში შეჯიბრებების გამართვის წინადადებებით შედიან თმმ-ში. ამას გარდა, სტუდენტები თმმ-ს ამ სფეროებისგან განსხვავებული ღონისძიებების ჩატარებასაც სთხოვენ. მაგალითად, ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში განხორციელდება კიდევ ერთი სტუდენტის მიერ შემოთავაზებული პროექტი, სახელწოდებით -“საიტებს შორის ტურნირი”.

**იღებს თუ არა მონაწილეობას თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში?**




ერთ-ერთმა თმმ-ს წევრმა საუბარში აღნიშნა, რომ მათ სასწავლებელში გამოაცხადეს კონკურსი, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ წარედგინათ საკუთარი პროექტები და საუკეთესოებს თმმ დააფინანსებდა. ამ ყოველივესათვის თმმ-მ საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყო 10,000 ლარი. აღსანიშნავია, რომ ამ კონკურსში მხოლოდ 10-მასტუდენტმა წარადგინა საკუთარი პროექტი და ათივე დააფინანსეს, რადგან გამოყოფილი თანხა ყველა პროექტს ჰყოფნიდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თმმ-ს წევრების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სტუდენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა შემოდის ინიციატივით თმმ-ში და ისინიც ახორციელებენ მათ. თუმცა, ცოტა მათგანმა დაადასტურა ეს ყოველივე ფაქტებით, ანუ დაასახელა ამგვარი ღონისძიებები. მხოლოდ ერთმა თმმ-ს წევრმა გაგვცა უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე. “არ აქვთ ინიციატივები, თორემ ჩვენ აუცილებლად განვახორციელებდით.”

სტუდენტების თვითმმართველობასთან თანამშრომლობის ხარისხის დასადგენად, კითხვარში მოცემული იყო შემდეგი კითხვა: „მიგიმართავთ თუ არა თვითმმართველობისთვის რაიმე წინადადებით?“, რომლიდანაც გამოიკვეთა შემდეგი:

**მიმიმართავთ თუ არა თვითმმართველობისთვის რაიმე წინადადებით?**



რაც შეეხება იმას, განუცხადებია თუ არა თმმ-ს სტუდენტების ინიციატივების შესრულებაზე უარი და რატომ, რესპონდენტებმა დადებითი პასუხი გაგვცეს და შემდეგი არგუმენტები მოიყვანეს: პირველ არგუმენტად უარის თქმის პროექტის “არარეალურობა” დაასახელეს. “მაგ: მოდი, გავაკეთოთ „ოუფენიარი“? როცა კლუბურში და რაღაცაში ფულს ბევრს ვერდახარჯავ, იმიტომ რომ მარტო გართობა არ არის.” ასევე ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ აქვს ცოდნა, თუ როგორ წარადგინონ პროექტი. “ყველას ვთხოვთ, რომ მარტო იდეის დონეზე არ იყოს და უფრო დაწვრილებითი ნამუშევარიც უნდა ჩანდეს და პროექტის დონეზე უნდა იყოს.” ასევე უარის თქმის მიზეზად დასახელდა პროექტის არამიზნობრიობა, ანუ თუ სტუდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა არ არის საჭირო მის მიერ შემოთავაზებული პროექტის განხორციელებისას, ან - ითხოვდნენ 3 სტუდენტზე 5000 ლარის გამოყოფას, მიზანი კონფერენცია ან შორს წასვლა-წამოსვლა. შეიძლება შედეგი კარგი იყოს იქიდან, მაგრამ 5000 ლარით შეიძლება იმდენი ღონისძიება მოვაწყოთ, რომ 300 სტუდენტი ჩავრთოთ და 3 სტუდენტზე ვერ დავხარჯავთ.”

ორმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ სტუდენტებს თავიდან საკმაოდ ადვილი ჰგონიათ ამა თუ იმ პროექტის განხორციელება და სურთ დამოუკიდებლად განახორციელონ საკუთარი პროექტები, თუმცა შემდეგ აცნობიერებენ სირთულეებს და კვლავ მათ სთხოვენ დახმარებას პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

## სტუდენტთა ინფორმირების საშუალებები და სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ გვერდებზე განთავსებულია აღნიშნული უნივერსიტეტების თვითმმართველობების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე, თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული აგრარული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის უნივერსიტეტის ვებ გვერდებზე მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე შესაძლებელია თვითმმართველობის წევრთა სიის ნახვა ფაკულტეტების მიხედვით. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გვერდზე განთავსებულია ბმული “თვითმმართველობა”. თუმცა, აღნიშნული ბმული ინფორმაციას არ შეიცავს. დარჩენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ გვერდები არ შეიცავს ინფორმაციას თვითმმართველობების საქმიანობის შესახებ.

ინტერვიუებში შემდეგ საკითხზე, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან სტუდენტები თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, თვითმმართველობის წევრების აზრი ორად გაიყო. ნაწილმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სამ ინტერვიუებში აღნიშნა, რომ სტუდენტები არიან ინფორმირებულები თმმ-ს საქმიანობის შესახებ. ეს უნივერსიტეტის მცირე ზომით ახსნა: “შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ საქართველოს მასშტაბით არც ერთ უნივერსიტეტში არ იქნებიან ასე იმიტომ, რომ მოგეხსენებათ პატარა უნივერსიტეტია, ერთი შენობაა ეს ძირითადი და ლექციასავით უტარდება, ყველას ამ შენობაში უტარდება.” ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ეს ყოველივე გამოწვეულია სტუდენტების დიდი დაინტერესების გამო თმმ-ს მიმართ, ამ ყოველივეს დამამტკიცებელ საბუთად კი არჩევნებზე სტუდენტების მაღალი აქტიურობის დონეს ასახელებენ: “მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრა, რომ დღევანდელ დღეს თმმ-ს შესახებ უნივერსიტეტის სტუდენტების 99%-მა იცის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ სტუდენტთა ინფორმირებისთვის და ეს გამოიხატა არჩევნებზე, რომელიც ახლახანს ჩატარდა. თმმ-ს არც ერთ არჩევნებზე არ ყოფილა ასეთი აქტიობა, როგორც წელს.”


რაც შეეხება თმმ-ს წევრების მეორე ნაწილს, ისინი სტუდენტების ინფორმირებულობას მაღალი პროცენტებით ვერ აფასებენ და ამ ყოველივეს მიზეზად ხშირ შემთხვევაში სტუდენტების “ინერტულობას” ასახელებენ: “განცხადებების გამოკვრას აზრი არ აქვს, მაინც არ კითხულობენ, ჩვენ თვითონ მივდივართ და ვეჩიჩინებით, მაგრამ მაინც პასიურები არიან ძალიან.”

სტუდენტების ინფორმირებისათვის თვითმმართველობა ძირითადად იყენებს ბანერებს და განცხადებებს. თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, იმის გამო, რომ სტუდენტების უმრავლესობა მათ არ ეცნობა, ისინი სხვა საშუალებებსაც მიმართავენ, რათა გაზარდონ ინფორმირებულ სტუდენტთა რიცხვი. ასეთ საშუალებებად კი თმმ-ს წევრები ბუკლეტებს, თმმ-ს საიტს, “ჯგუფხელების ინსტიტუტს” და წარმომადგენლების/დელეგატების მიერ ჯგუფხელების და

სტუდენტების ინდივიდუალურ გაფრთხილებას მიიჩნევენ. ასევე, ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისინი სტუდენტებს მესიჯებითაც უკავშირდებიან, რათა გააცნონ ესა თუ ის ღონისძიება მათ: “ ჩვენ გვაქვს ბაზა, სტუდენტების ნომრები, მაგ: იურიდიულ-სამეცნიერო კონფერენციაა სიტყვაზე, მივდივართ იურისტების დეკანატში, ვითხოვთ სტუდენტების ნომრებს და შემდეგ ყველას სმს-ს ვუგზავნიოთ.” აგრეთვე, ცალკეული უნივერსიტეტების თმმ სხვა სახის ინფორმირების საშუალებებს იყენებს. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ისინი საკუთარ გაზეთში ბეჭდავენ განცხადებებს ღონისძიებების შესახებ, ასევე მეორე რესპონდენტმა განგვიცხადა, რომ უნივერსიტეტის ეზოში ისინი რუპორით ცდილობენ სტუდენტების ყურადღების მიპყრობას. რამდენიმე წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი ღია კარის დღის მსგავს შეხვედრებსაც კი მართავენ სტუდენტებთან შესახვედრად.

სტუდენტების უმრავლესობა არ არის ინფორმურებული სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც ნათლად ჩანს სტუდენტების პასუხებიდან. კითხვაზე, აქვთ თუ არა თვითმმართველობის წევრებს სასწავლო პროცესში ცვლილებების შეტანი უფლება, სტუდენტების დიდი ნაწილი წერს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ ქვს ინფორმაცია.


**თქვენი აზრით, აქვთ თუ არა თვითმმართველობის წევრებს სასწავლო პროცესში ცვლილებების შეტანის უფლება?**



გამოკითვულთა ნახევარზე მეტი ვერ ასახელებს თვითმმართველობის უფლება-მოვალეობებს:




თქვენი აზრით, რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ თვითმმართველობის წევრებს?



გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტი აქტიურად მონაწილეობს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში.

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში?



## თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ურთიერთობა

უნივერსიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და თვითმმართველობის ურთიერთობას თანამშრომლობითი ხასიათი აქვს. თვითმმართველობის მიერ შემუშავებული და წარდგენილი პროექტები, ძირითადად, დამტკიცებულია ადმინისტრაციის მიერ. თვითმმართველობის წევრები აღნიშნავენ, რომ ისინი ცდილობენ, რეალური პროექტები შეიმუშავონ, სადაც დეტალურადაა გადანაწილებული თანხები. ამას ადასტურებს ადმინისტრაციაც.

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია უარს ამბობს პროექტის განხორციელებაზე, ან ზღუდავს ღონისძიებების რაოდენობას, რაც, ძირითადად, ფინანსების სიმცირით არის გამოწვეული. ადგილი ჰქონია სხვა შემთხვევებსაც. მაგალითად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ადმინისტრაციამ სტუდენტების ინიციატივა არ დააკმაყოფილა, რადგან სტუდენტების მოთხოვნა იყო უნივერსიტეტის ვიცე სპიკერი ყოფილიყო სტუდენტი. უარის მიზეზი იყო ის, რომ კანონი ვიცე სპიკერის არსებობას საერთოდ არ ითვალისწინებდა; ასევე, არ დააკმაყოფილა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ინიციატივა სწავლის ქირის გადახდასთან დაკავშირებით ვადების დაწესებაზე, რადგან უნივერსიტეტში ჰქონდათ მსგავსი პრაქტიკა, რამაც არ გაამართლა და დავალიანების დაგროვება გამოიწვია.


ადმინისტრაციიდან და თვითმმართველობებიდან ჩვენი რესპოდენტები აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია არ ზღუდავს თვითმმართველობას მათთვის განკუთვნილი ბიუჯეტის განკარგვაში და ასევე, არ ერევა პროექტების განხორციელებაში. როგორც სამხატვრო აკადემიის კანცლერი აღნიშნავს: „სტუდენტთა არც ერთ ინიციატივასა და შემოთავაზებაზე არ ვამბობთ უარს. თვითონ თმმ-ს წევრებმაც იციან რამდენი თანხაა დარჩენილი მათ ბალანსზე, ამიტომ იმდენ ფულს არ ითხოვენ პროექტისთვის, რაც ამ თანხას გადააჭარბებს. ჩვენ, ადმინისტრაცია, არ ვერევიტ მათ საქმეში, როგორც კანონში – უმაღლესი განათლების შესახებ წერია, სტუდენტები თვითონ განკარგავენ ყველაფერს, ჩვენ მხოლოდ ხელს ვუწერთ.“

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადმინისტრაცია სთავაზობს სტუდენტურ თვითმმართველობას რაიმე ღონისძიების განხორციელებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტის აზრი ამასთან დაკავშირებით შემდეგია: „რეკომენდაციას აუცილებლად ვითვალისწინებთ ადმინისტრაციის და თვითონ რექტორის, მაგრამ კანონში – განათლების შესახებ მოცემულია, რომ თმმ არის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს არც ერთ ორგანოს, არც ერთ ინსტანციას და არც სახელმწიფოს.“

უნივერსიტეტებში მცირე რაოდენობით ხორციელდება ღონისძიებები ადმინისტრაციის ინიციატივით. მაგალითად, ახალციხის უნივერსიტეტში გააკეთეს საახალწლო კარნავალი და სარვამარტო ღონისძიება; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა კონფერენციაზე გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება, რომელზეც მოწვეული ჰყავდათ გერმანელი თეატრის ხელმძღვანელი; თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტში ხორციელდება ერთობლივი პროექტი -- კონფერენცია საქართველოს მასშტაბით, ადმინისტრაციის მიერ ხდება გამარჯვებულების გამოვლენა, ხოლო თვითმმართველობა აფინანსებს მათ დაჯილდოებას. თუმცა, არის შემთხვევაც, როდესაც ადმინისტრაციის იდეის განხორციელება არ მოხდა. მაგალითად, კონსერვატორიაში ადმინისტრაციას ჰქონდა საახალწლო ღონისძიების ჩატარების იდეა, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან თმმ-ს სხვა პროექტები ჰქონდა დაგეგმილი.

თვითმმართველობის წევრების დამოუკიდებლობლად მუშაობის ხარისხზე აზრის გამოთქმის საშუალება სტუდენტებსაც მივეცით. კითხვარი შეიცავდა შემდეგ კითხვას: „როგორ ფიქრობთ, თვითმმართველობის საქმიანობაზე გავლენას ახდენს რაიმე ფაქტორი?“. მთავარი, რომელსაც სტუდენტები ზეგავლენის ფაქტორად ასახელებენ, არის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

**როგორ ფიქრობთ, თვითმმართველობის საქმიანობაზე გავლენას ახდენს რაიმე ფაქტორი?**



## თვითმმართველობის როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

აზრები გაიყო სტუდენტების წარმომადგენლობით საბჭოში აქტიურობის შესახებ. ერთ-ერთი უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტმა განგვიცხადა, „უნივერსიტეტის მართვაში ნამდვილად ვერ ვიღებთ მონაწილეობას, რადგან თვითონ კანონი არ გვადლევეს ამის საშუალებას.“ ხოლო როცა ინტერვიუერმა წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტების ყოფნის შესახებ ჰკითხა, მან უპასუხა: „ჩემი აზრით, ეს უფრო ფორმალურია. თუმცა ვესწრებით საბჭოზე ამა თუ იმ საკითხის განხილვას, მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ დამთხვეოდა ჩემს მოსაზრებას, ან მე წინააღმდეგი ვყოფილიყავი.“

სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი წარმომადგენლობით საბჭოში მათი მოღვაწეობის შესახებ აცხადებს: „აკადემიის მართვაში ვმონაწილეობთ, ვინაიდან წარმომადგენლობით საბჭოში არაფერი წყდება ჩვენი ხმების გარეშე. წარმომადგენლობით საბჭოზე ისე არაა, რომ თუ ბატონი გაია (აკადემიის რექტორი) აწევს ხელს, ჩვენც მაშინ ვწევდეთ. ჩვენ ჩვენი აზრი გაგვაჩნია.“

კანცლერების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელების უმრავლესობა ამბობს, რომ სტუდენტობა ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოებზეც აქტიურადაა ჩართული, მაგრამ არიან უნივერსიტეტები, რომელთა ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ სტუდენტებს გაცილებით მეტის უფლება აქვთ და თავიანთ უფლებამოვალეობებს მაქსიმალურად არ იყენებენ. „მე ვფიქრობ, რომ იცით, როგორ არის? სტუდენტები საკმაოდ აქტიურები არიან ხოლმე, როცა საკითხი ეხება ბიუჯეტს, რაღაც თემაში არიან, მაგრამ საერთოდ შეიძლება ვთქვათ, რომ იმ უფლებამოსილებებს, რაც გააჩნიათ ადამიანებს ამ ქვეყანაში, მართო სტუდენტებზე არა, უფროსებზეც ვამბობ, რომ ამ უფლებებს ბოლომდე ჩვენ არ ვიყენებთ.“

ადმინისტრაციის ხელმძღვანელების ნაწილის აზრით, სტუდენტობა მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვაში, ძირითადად, ფაკულტეტის საბჭოების და წარმომადგენლობითი საბჭოების მეშვეობით. ფაკულტეტის საბჭოზე ისმება ესა თუ ის საკითხი და ჯერ ფაკულტეტის საბჭოზე განიხილება, ხოლო თუ ფაკულტეტის საბჭოზე ვერ გადაწყდა, შემდეგ გააქვთ წარმომადგენლობით საბჭოზე, მაგრამ იქ ხდება ძირითადად საკითხების დამტკიცება.

განსხვავებული ვითარებაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ მხრივ, რომ ამ უნივერსიტეტში დისციპლინარული კომისიაა შექმნილი, სადაც თმმ-ს პრეზიდენტიც შედის, როგორც სტუდენტების წარმომადგენელი და ის ამ მხრივაც იღებს უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობას.

ბევრ უნივერსიტეტში შეინიშნება ტენდენცია, რომ წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტების ძირითად შემადგენლობას ისეთი სტუდენტები შეადგენენ, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება, არც დაესწრონ წარმომადგენლობით საბჭოს სხდომებს. „იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან წარმომადგენლობით საბჭოში, მართალი გითხრათ, ერთს ვიცნობდი, მაგრამ ეხლა აღარც დადის, ზოგჯერ არც ესწრება. ანუ იქ ქვორუმი ივსება, ძირითადად დიდ წვლილს ვერ შეიტან, შენი ერთი მესამედი ხმებით, დიდად გადაწყვეტი არ არის, მაგრამ რაღაც

ხმები რომ ისე გაიყოს, შენ მერე შეგეძლება რაღაც ისეთი გარდაქმნა შეიტანო გადაწყვეტილების მიღებაში. როცა წარმომადგენლობით საბჭოზე ისეთი თემებია, რაც ჩვენ გვეხება სტუდენტებს, ჩვენც გვიბარებენ და ჩვენთან ერთად გადიან.“ -- გვითხრა ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

ჩვენ, ასევე, დავინტერესდით იმით, შეჰქონდათ თუ არა თავიანთი ინიციატივები სტუდენტებს ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოებზე. ადმინისტრაციის წევრების ძირითადი ნაწილი აცხადებს, რომ ეს იშვიათად ხდება. თვითმმართველობის წევრი სტუდენტების უმრავლესობა ამ კითხვაზე ზოგადი პასუხის გაცემას ამჯობინებს და კონკრეტულ ფაქტებს არ ასახელებს. თუმცა არის უნივერსიტეტები, სადაც კონკრეტული ფაქტებიც დაგვისახელეს: “მე არ ვარ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, გადაწყვეტილებაში არ ვიღებ მონაწილეობას, მაგრამ როცა ისეთ პროექტს ვახორციელებ, რაც მართო ჩემი კომპეტენცია არ არის და ადმინისტრაციას უნდა შევეკითხოთ და წარმომადგენლობით საბჭოს დავეკითხოთ, ეგეთ რაღაცებზე მეც ავდივარ და მეც ვესწრები და არგუმენტირებულად ვუხსნი მათ, რას ვაკეთებთ, რას ემსახურება და როგორ კეთდება და ამის შედეგად ისინი რას გადაწყვეტენ, იქვე ვიგებ მეც.“

თეუსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დაგვისახელა წინადადებები, რომლებიც თეუსუ-ს სტუდენტებს გაუტანიათ წარმომადგენლობით საბჭოზე: “-- თვითონ სტუდენტებს წარმოუდგენიათ სამეცნიერო კონფერენციის შესახებ,.. ეხლა ოდესაში იმართება ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, წარმოადგინეს ჩვენი პირველი რექტორის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების გეგმა, და ერთიც, მეორეც დაფინანსებული იყო წარმომადგენლობით საბჭოზე.“

რაც შეეხება უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და დამტკიცებაში სტუდენტთა მონაწილეობას, უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში სტუდენტები მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობენ, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, სანამ რაიმე საკითხი წარმომადგენლობით საბჭოზე გავა, მათ წინასწარ ეგზავნებათ საკითხები, რომლებსაც თმმ-ს წევრები განიხილავენ და იგივე წესით ხდება ბიუჯეტის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება თვითონ თმმ-ს ბიუჯეტს, ამ შემთხვევაში ბევრ უნივერსიტეტში ადმინისტრაცია თმმ-ს თან შეთანხმების შედეგად, ერთობლივად ადგენს თმმ-ს ბიუჯეტს. თუმცა, შემდეგ მის განკარგვაში აღარ ერევა. მთავარია, თმმ-მ რეალური პროექტი წარუდგინოს ადმინისტრაციას. როგორც თმმ-ს პრეზიდენტები აღნიშნავენ, თვითონაც არ გააქვთ კანცლერებთან ისეთი პროექტები, რომლებიც უნივერსიტეტის პროფილს არ შეესაბამება. თვითმმართველობის ბიუჯეტი უნივერსიტეტების მთლიანი ბიუჯეტის 1%-მდეა, ზღვარს თვითონ უნივერსიტეტები იწყვეტენ და ერთი საერთო მიდგომა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. აღსანიშნავია ის, რომ უნივერსიტეტების ნაწილის თვითმმართველობის ბიუჯეტი კანონით განსაზღვრულ 1%-ზე ნაკლებია, რასაც უნივერსიტეტში ფინანსური რესურსების ნაკლებობით ხსნიან.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით, სტუდენტების მხრიდან განსაკუთრებული აქტიურობა არ ფიქსირდება. როგორც თმმ-ს პრეზიდენტები აღნიშნავენ, ძირითადად, ისინი ეხმარებიან სტუდენტებს,

როდესაც მაგალითად, 2 გამოცდა ერთ დღეს ემთხვევათ, ან როცა ცხრილშია რაიმე პრობლემა. ასევე, არის ერთეული შემთხვევები, როცა საგნების სწავლებასთან დაკავშირებითაც შეაქვთ ცვლილებები, რეკომენდაციას უწევთ იმ სტუდენტებს დეკანატთან, რომლებსაც საპატიო მიზეზით აქვთ გაცდენები და ის სალექციო დრო ისევ სწავლის შეძენას მოახმარეს. ასევე, თვითმმართველობა შუამდგომლობს სტუდენტებს ადმინისტრაციასთან სწავლის გადასახადთან დაკავშირებული პრობლემებისას. თვითმმართველობა ეხმარება მათ, რომ ადმინისტრაციამ ან ვადები გადაუწიოს, ან თუ თმმ-ს ბიუჯეტში არის შესაძლებლობა, თანხის ნაწილი მაინც დაუფინანსონ.

ბევრ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით ისეთ სპეციფიკურ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა, მაგალითად, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და ბათუმის საზღვაო აკადემია, თმმ-ც და ადმინისტრაციაც ერთხმად აღიარებს, რომ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტობა დიდ წვლილს ვერ შეიტანს იმიტომ, რომ მეთოდოლოგიაც, მასალაც და საგნებიც იქ სპეციფიკურად იგეგმება.

ადმინისტრაცია იმ ფაქტს, რომ სტუდენტები აქტიურად არ არიან ჩართული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში ან იმით ხსნის, რომ უნივერსიტეტებში სწავლა კარგად მიმდინარეობს, ან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტთა პასიურობას აბრალებს. “ნაკლებად ვარ, შეიძლება ასე ითქვას, კმაყოფილი სწავლა-განათლების მიმართებაში, ხარისხის გაუმჯობესების მიმართებაში ნაკლებად აქტიურები არიან, სამწუხაროდ. ანუ, არ მახსოვს შემთხვევა, როდესაც თვითმმართველობას დაეყენებინა საკითხია მათუ იმ პედაგოგის მიერ მისი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით პრეტენზიებით. ამას შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: ან გადასარევი პედაგოგიური შემადგენლობა გვყავს, ანდა ერიდებიან ამ საკითხს, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ნავსი გატყდება, იმიტომ რომ მაინც დამკვეთი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა უნდა იყოს სტუდენტი.”

სტუდენტებისთვის განკუთვნილ კითხვაში შედიოდა ღია კითხვა იმაზე, თუ რის შეცვლაზე იზრუნებდა სტუდენტი, თვითმმართველობის წევრი რომ ყოფილიყო. ამ კითხვაზე სტუდენტების 26%-ს პასუხი არ გაუცია. ყველაზე ხშირად ნახსენები ვარიანტების დაჯგუფება შევეცადეთ. პასუხები, ანალიზის შემდეგ, შემდეგნაირად გადანაწილდა:

